



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 02 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №245/18  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2018 წლის 01 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №215/245-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №216/245-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 12 თებერვალს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მან უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა მოსამართლე ---. ამ უკანასკნელმა სრულიად დაუსაბუთებლად უარი უთხრა მოსარჩელეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მხარის საჩივარი და საქმე განსახილველად პირველ ინსტანციას სასამართლოს დაუბრუნა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე --- საჩივრის წარდგენის დროისთვის არ ჰქონდა მიღებული საქმეზე ახალი განჩინება. საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლე --- არის მიკერძოებული. მას არ სურს მოპასუხის ქონება გასხვისდეს აუქციონის გზით და ამიტომ, არ იღებს შესაბამის განჩინებას.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2016 წლის 07 აპრილს მოსარჩელე --- წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე --- წინააღმდეგ მესაკუთრედ ცნობისა და უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით (საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---).

2016 წლის 22 ნოემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 22 დეკემბერს. 2016 წლის 22 ნოემბერს მოპასუხეს ეცნობა დანიშნული მოსამზადებელი სხდომის შესახებ.

2016 წლის 22 დეკემბრის მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, -- --. მოსარჩელე -- -- წარმომადგენელმა -- -- სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ. მოსამართლე -- -- დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა და მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

2017 წლის 16 იანვარს მოპასუხემ საჩივრით მიმართა სასამართლოს და 2016 წლის 22 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ მას არ ეცნობა სასამართლო სხდომის შესახებ.

2017 წლის 23 იანვრის განჩინებით მოპასუხეს უარი ეთქვა 2016 წლის 22 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე.

2017 წლის 23 იანვრის განჩინება მხარემ 2017 წლის 21 მარტს გაასაჩივრა სააპელაციო წესით. -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 აპრილის განჩინებით -- -- უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2017 წლის 06 და 18 ოქტომბერს მოსარჩელემ უფლებამონაცვლის დადგენის შესახებ განცხადებებით მიმართა სასამართლოს. განმცხადებელი ითხოვდა, რომ 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინებით -- -- ეცნოთ მეუღლის, -- -- უფლებამონაცვლედ.

მოსამართლე -- -- მიიჩნია, რომ -- -- განცხადებები, თავისი შინაარსით, წარმოადგენდნენ მოთხოვნას ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ და 2017 წლის 06 ნოემბრის განჩინებით უარი უთხრა განმცხადებელს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული განჩინება განცხადების ავტორმა გაასაჩივრა 2017 წლის 22 ნოემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 05 დეკემბრის განჩინებით კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. იმავე სასამართლოს 2018 წლის 21 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა პირველი ინსტანციის 2017 წლის 06 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

2018 წლის 01 მარტს საქმე განსახილველად დაუბრუნდა მოსამართლე -- --.

2018 წლის 07 მარტის განჩინებით მოსამართლემ ჩათვალა, რომ 2017 წლის 06 და 18 ოქტომბრის განცხადებები წარმოადგენდნენ უფლებამონაცვლის დადგენის შესახებ აღძრულ შუამდგომლობებს, თუმცა, ასევე მიიჩნია, რომ სარჩელით, მოპასუხე იყო სწორედ -- -- და არა მისი მეუღლე, -- --. ამდენად, არ არსებობდა მოპასუხის უფლებამონაცვლის დადგენის აუცილებლობა და ისევ უარი უთხრა განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2018 წლის 07 მარტის განჩინება სარჩელის ავტორმა 2018 წლის 28 მარტს ისევ გაასაჩივრა კერძო საჩივრით. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 მაისის განჩინებით კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე 2018 წლის 09 ივლისს განსახილველად კვლავ დაუბრუნდა მოსამართლე -- --.

2018 წლის 20 მარტს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლეს და ითხოვა -- -- სასამართლოს მიერ 2016 წლის 22 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების განმარტება. 2018 წლის 29 მარტის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

2018 წლის 10 აპრილს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლეს და ითხოვა -- -- სასამართლოს მიერ 2016 წლის 22 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების განმარტება. 2018 წლის 16 აპრილის განჩინებით მოსარჩელეს ისევ უარი ეთქვა აღნიშნული გადაწყვეტილების განმარტებაზე.

2018 წლის 01 ოქტომბრის განჩინებით მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა ---, --- უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ.

2018 წლის 01 ოქტომბრის განჩინება მხარის მიერ გასაჩივრდა 2018 წლის 08 ოქტომბერს. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში (წინამდებარე დასკვნის მომზადების დროისათვის საჩივრის განხილვა სააპელაციო სასამართლოში არ დასრულებულა).

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და განვსაზღვროთ, მოსამართლის კონკრეტული ქმედებები შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.“ იმავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „უფლებამონაცვლით შეცვლის ან ასეთ შეცვლაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“ იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით“ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძველად უდევს მის „შინაგან რწმენას“, ასახავს გადაწყვეტილებაში.

მოსამართლე -- -- გადაწყვეტილების მიღებისას, მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. საქართველოს იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 თებერვლის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 01 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გადაწყვიტა:**

-- -- 2018 წლის 01 ოქტომბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**